# ROADS IN THE KSANI VALLEY

# გზები ქსნის ხეობაში

**David Akhlouri,**

Doctor of History Associate Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., №53, 1400, Georgia,
+995568990779, datoakhlouri@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-1068-4042

**Abstract**. Ksani valley, due to its geographical location, has played an important role in the political, economic and cultural life of Georgia since time immemorial. It is located in the western part of the Mtskheta-Mtianeti region and is administratively within the framework of three municipalities. It belongs to Akhalgori municipality from Khloi Tbi to Odzei, Odzei is a village of Dusheti municipality, and from Tsovris to Tsikhisdzire is Mtskheti municipality.

There were two important political units in the Ksani valley: Saeristavo and Samukhranbatono of Ksani, which were connected to each other, as well as to different regions of Georgia and the North Caucasus by a number of important roads.

The paper talks about the roads connecting the Ksani valley both internally and with the outside world. At the beginning, attention is paid to the important factors of the promotion of Largvis, the former center of Saeristavo, among which the roads and paths existing here were given a leading role. Roads coming from the valleys of Churti, Karchokh-Zhamuri and Niazum converged in Largvis. In addition, it included the valleys of Saeristavo Iviri, Little Liakhvi and Kholot-Kvitkiri of Niazm (later Ksni). In the work, a proper place is given to the roads connecting these valleys with Kartli Bar or Transcaucasia.

From the middle of the 14th century, when the possession of the Eristavas of Ksni increased sharply in the direction of the Kartli Vaki and the residence of the Eristavas gradually moved from the north to the south, which should have happened at the turn of the 16th-17th centuries, the new center of Saeristavo, Akhalgori, acquired the function of connecting the mountain and the bar. By the second half of the 17th century, one of the powerful principalities in Georgia already covered a large area: the valleys of Ksni, Alevi, Safersheti, Churti, Niazm, Karchokhi, Zhamuri, Maghran-Dvaleti sankhas, a significant part of the Lekhuri valley, Kholot-Kvitkiri, Isuri, Mejudi, Tsromi. , small Liakhvi valleys and the foothills. The road network is also growing and becoming more important. In the paper, the main roads of the inter-rural and Ksani Saeristavo regions are highlighted, among which the roads connecting Akhalgori - Tbilisi, Akhalgori - Ananuri, Akhalgori - Dariali Gorge, Mejvriskhevi - Dariali Gorge, Mejvriskhevi - Tbilisi, Mejvriskhevi - Gori and Mejvriskhevi - Tskhinvali are highlighted.

The role assigned to these roads in the political and economic life of the capital and the country is highlighted. We are also talking about the measures that the Royal Court implemented in connection with the maintenance of roads in accordance with the appropriate legislation.

Many Georgian and foreign travelers do not use the roads in the Ksani valley, their story has a proper place in the work.

At the end of the paper, the sad reality that followed the August 2008 war is reviewed; Today, the roads connecting the Ksni valley and especially the mountainous region with the outside world are on the brink of collapse due to lack of maintenance.

**Key words:** Ksni Gorge, road-trails, Satavado, traveler, castle-towers, Largvis, Akhalgori.

**დავით ახლოური,**

ისტორიის დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძისქ., №53,1400, საქართველო,
+995568990779, datoakhlouri@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-1068-4042

**აბსტრაქტი.** ქსნის ხეობა, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ოდითგანვე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში. იგი მცხეთა-მთიანეთის მხარის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს და ადმინისტრაციულად სამი მუნიციპალიტეტის ფარგლებში შედის. ყელის ტბიდან ოძისამდე ახალგორის მუნიციპალიტეტს მიეკუთვნება, ოძისი დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელია, ქსოვრისიდან ციხისძირამდე კი მცხეთის მუნიციპალიტეტია.

ქსნის ხეობაში ორი მნიშვნელოვნი პოლიტიკური ერთეული არსებობდა: ქსნის საერისთავო და სამუხრანბატონო, რომლებიც, როგორც ერთმანეთს, ისე საქართველოს სხვადასხვა რეგიონებსა და ჩრდილოეთ კავკასიას არაერთი მნიშვნელოვანი გზა-ბილიკით უკავშირდებოდნენ.

ნაშრომში საუბარია ქსნის ხეობის როგორც შიდა, ისე გარესამყაროსთან დამაკავშირებელ გზებზე. დასაწყისში ყურადღება ეთმობა საერისთავოს ადრინდელი ცენტრის ლარგვისის დაწინაურების მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომელთა შორისაც აქ არსებულ გზა-ბილიკებს წამყვანი როლი ენიჭებოდა. ლარგვისში თავს იყრიდა ჭურთის, ქარჩოხ-ჟამურისა და ცხრაზმის ხეობებიდან მომავალი გზები. გარდა ამისა, ცხრაზმის (შემდგომში ქსნის) საერისთავო ისროლის, პატარა ლიახვისა და ქოლოთ-ქვითკირის ხეობებს მოიცავდა. ნაშრომში სათანადო ადგილი ეთმობა ამ ხეობების ქართლის ბართან თუ იმიერკავკასიათან დამაკავშირებელ გზებსაც.

XIV საუკუნის შუა წლებიდან, როცა ქსნის ერისთავების სამფლობელო ქართლის ვაკის მიმართულებით მკვეთრად გაიზარდა და ერისთავთა რეზიდენციამაც, თანდათანობით, ჩრდილოეთიდან სახრეთისაკენ გადმოინაცვლა, რაც XVI- XVII საუკუნეების მიჯნაზე უნდა მომხდარიყო, საერისთავოს ახალმა ცენტრმა ახალგორმა მთისა და ბარის დამაკავშირებელი ფუნქცია შეიძინა. XVII საუკუნის მეორე ნახევრისთვის საქართველოში არსებული ერთ-ერთი მძლავრი სათავადო უკვე ვრცელ ფართობს მოიცავდა: ქსნის, ალევის, საფერშეთის, ჭურთის, ცხრაზმის, ქარჩოხის, ჟამურის ხეობებს, მაღრან-დვალეთის სანახებს, ლეხურის ხეობის მნიშვნელოვან ნაწილს, ქოლოთ-ქვიტკირის, ისროლის, მეჯუდის, წრომის, პატარა ლიახვის ხეობებსა და გვერდისძირს. გზა-ბილიკების ქსელიც კიდევ უფრო იზრდება და მნიშვნელოვანი ხდება. ნაშრომში გამოკვეთილია როგორც სასოფელთაშორისო, ისე ქსნის საერისთავოს ძირითადი გზები, რომელთა შორისაც ხაზგასმულია ახალგორი -თბილისის, ახალგორი - ანანურის, ახალგორი - დარიალის ხეობის, მეჯვრისხევი - დარიალის ხეობის, მეჯვრისხევი - თბილისის, მეჯვრისხევი - გორისა და მეჯვრისხევი - ცხინვალის დამაკავშირებელ გზა-ბილიკები.

გამოკვეთილია ის როლი, რაც ამ გზებს ენიჭებოდათ, როგორც სათავადოს, ისე ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. საუბარია იმ ღონისძიებებზეც, რომელსაც სამეფო კარი გზების მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით ახორციელებდა სათანადო კანონმდებლობით.

არაერთ ქართველ თუ უცხოელ მოგზაურს უსარგებლია ქსნის ხეობაში არსებული გზა-ბილიკებით, ნაშრომში სათანადო ადგილი უკავია მათ მონათხრობს.

ნაშრომის ბოლოს მიმოხილულია ის სავალალო რეალობა, რაც 2008 წლის აგვისტოს ომს მოჰყვა; დღეს ქსნის ხეობის და განსაკუთრებით მთიანი რეგიონის გარესამყაროსთან დამაკავშირებელი გზები, მოუვლელობის გამო, გავერანების პირასაა.

**საკვანძო სიტყვები:** ქსნის ხეობა, გზა-ბილიკები, სათავადო, მოგზაური, ციხე-კოშკები, ლარგვისი, ახალგორი.

## შესავალი

მდინარე ქსანი სათავეს ყელის ტბიდან იღებს, რომელიც ოკუპირებულ ახალგორის მუნიციპალიტეტში მდებარეობს, ზღვის დონიდან 2914 მეტრ სიმაღლეზე. იგი ვულკანურ-მყინვარული გენეზისის ტბებს მიეკუთვნება (მარუაშვილი, 1964: 64) და 7-8 თვის განმავლობაში ყინულითაა დაფარული (Апхазава: 181). მდინარე ქსნის სიგრძე 84 კმ-ია, აუზის ფართობი 885 კმ². მთავარი შენაკადებია: ცხრაძმულა (ცხრაზმულა-დ.ა.), ჭურთა და ალეურა (აფხაზავა: 561).

ქსანი ყელის ტბის სათავიდან 4-5 კმ-ის მანძილზე გაივლის მთიანეთს და არხის ქედის გადაკვეთის შემდეგ ჩანჩქერების სერიით ეშვება ჟამურის ხეობაში (https://ka.wikipedia.org › wiki › ქსანი). ქარჩოხის ხეობის სოფელ ელოიანამდე მოედინება აღმოსავლეთის მიმართულებით, შემდეგ კი სამხრეთით იღებს გეზს და კალაპოტი თანდათან ფართოვდება.

ალექსანდრე ჯანელიძის 1930-იან წლებში გამოთქმული ვარაუდით, წარსულში ქსანი აღმოსავლეთისაკენ მუხრანის ხეობით მიედინებოდა და არაგვს უერთდებოდა. 1949 წელს იგივე მოსაზრება გაიმეორა პ. გამყრელიძემ, რომელმაც, ქსანთან ერთად რეხულას აღმოსავლეთის მიმართულებით დინებაზე და არაგვართან შეერთებაზე მიგვანიშნა (შეშაბერიძე, 2016: 12).

ცნობილი ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბატონიშვილის აღწერით: „მდინარე კსნისა ოძის ზეით, ბაზალეთისა და ალევის მთის დასავლით დის და გამოსდის ქნოღოს ჟმურის საშუალს კავკასს, ქარჩოხამდინ დის აღმოსავლეთად, ქარჩოხს ქუეით სამხრით გაივლის მუხრანს და მიერთვის მტკუარს.“ (ბატონიშვილი ვახუშტი, 1973: 359).

როცა საქართველოს ისტორიაში ქსნის ხეობისა და აქ არსებული სათავადოების (ქსნის საერისთავო, სამუხრანბატონო) როლს ვაანალიზებთ, პოლიტიკური მნიშვნელობით იქნება ეს თუ ეკონომიკური ან კულტურული თვალსაზრისით, პირველ რიგში ყურადღება უნდა მივაქციოთ რეგიონის გეოგრაფიულ არეალს და იმ გზებს, რომლითაც იგი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებსა და ჩრდილოეთ კავკასიას უკავშირდებოდა.

## მეთოდები

საკითხის კვლევისას ვიყენებთ თანამედროვე ისტორიულ მეცნიერებაში აპრობირებულ მეთოდებს. ვახდენთ ქსნის ხეობის შესახებ არსებული წყაროებისა თუ სხვა ისტორიული მასალის კრიტიკულ გააზრებას, რომლის დროსაც გამოყენებულია შინაარსობრივი ანალიზისა და დაკვირვება-შედარების მეთოდები. ანალიზის მეთოდი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ, ჯერ ცხრაზმის და შემდეგ ქსნის საერისთავოში წლების მანძილზე არსებული გზა-ბილიკები. დაკვირვება-შედარების მეთოდი გვეხმარება გამოვკვეთოთ ხეობაში არსებული ძირითადი გზები, რომლითაც სარგებლობდნენ

ცნობილი ისტორიული პირები: მეფეები, მხედართმთავრები... ნაშრომის შეჯამება ხდება კვლევის სისტემური ანალიზით.

## შედეგები

ქსნის ხეობა ჩემთვის მშობლიურია. იქ ცხოვრების დროს ფეხით მაქვს შემოვლილი ხეობის დიდი ნაწილი. ხშირად მივლია იმ გზა-ბილიკებით, რომელზეც ნაშრომში ვრცლადაა საუბარი. ჩემთვის ნაცნობია როგორც ახლანდელი, ისე ადრინდელი, აწ უკვე გავერანებული საცალფეხო გადასასვლელები და სამარხილე გზები. ყოველივე ამან საშუალება მომცა ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ცნობები პირადი დაკვირვებითაც შემევსო.

კვლევაში საფუძვლიანადაა შესწავლილი როგორც ქსნის ხეობის სათავადოებში არსებული შიდა გზები, ისე ძირითადი გზა-ბილიკები, რომელთა მეშვეობითაც დაკავშირება ხდებოდა როგორც საქართველოს, ისე კავკასიის სხვა რეგიონებთან.

## დისკუსია (მსჯელობა)

ქსნის საერისთავოს ჩამოყალიბების დროს ლარგვისის დაწინაურება და მისი გადაქცევა საერისთავოს ცენტრად, სწორედ ამ ისტორიული სოფლის ადგილმდებარეობამ და გარესამყაროსთან მასთან დამაკავშირებელმა გზებმა განსაზღვრა. ლარგვისი ისტორიულად ოდითგანვე იყო ქსნის ხეობის მთიანი ნაწილის დამაკავშირებელი. აქ ერთდებოდა ქსნის ხეობის მთიანეთიდან, კერძოდ, ჭურთის, ქარჩოხ-ჟამურისა და ცხრაზმის ხეობებიდან მომავალი გზები, რამაც ხელი შეუწყო იმ ფაქტს, რომ იგი იქცა ცხრაზმის საერისთავოს ადმინისტრაციულ ცენტრად. ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანეს „ძეგლი ერისთავთას" მიხედვით, ამიტომაც ურჩია ლარგვისის მამასახლისმა როსტომ ბიბილურს ცხრაზმისხევში დამკვიდრების გარანტად საფლავი მონასტერს, „რამეთუ ყოველთა დიდებულთა და აზნაურთა საფლავი აქა არს და სოფელნი ესე რომელნი ღმრთივ გვირგვინოსნისა ისტვნიანე (იგულისხმება ბიზანტიის იმპერატორი, VI ს. - დ.ა.) (მესხია, „ძეგლი ერისთავთა", 1954: 345). აღნიშნული ხეობების გარდა, ცხრაზმის საერისთავო მოიცავდა ისროლის, პატარა ლიახვისა და ქოლოთ-ქვითკირის ხეობებს. თითოეულ ამ ხეობას ერთმანეთთან თავისი გზები თუ საცალფეხო ბილიკები აკავშირებდა. მთიანეთის გამოვლით კი ქართლის ბარისკენ მიემართებოდა იმერკავკასიიდან მომავალი გზა-ბილიკები, რომელსაც დაწვრილებით მიმოიხილავს დ. გვრიტიშვილი: „სბის გადმოსავლიდან ერთი გზა ჩაფარუხზე გავლით პატარა ლიახვით ქართლში ჩადიოდა. ამავე გადმოსავალიდან გზის მეორე განშტოება სოფელ ედისზე გავლით ერმანდონის ხეობას ჰკვეთდა და ყელის ტბით ჟამურისა ქსნის ხეობაში გადმოდიოდა. ზემო-ერმანიდან ჩრდილო აღმოსავლეთისაკენ მიმავალი გზა თრუსოს ხეობაში გადადიოდა. ეს გზა თრუსოს ხეობას მაღრან-დვალეთთან აკავშირებდა. ზემო-ერმანიდანვე მეორე გზა-ბილიკი ერხოტის მთებით არაგვის ხეობაში გადადიოდა და მლეთასთან საქართველოს სამხედრო გზას უერთდებოდა.

ლომის-ოხირის გადმოსასვლელით არაგვის ხეობიდან გადმოდიოდა გზა-ბილიკი და ქარჩოხის ხეობაში რამდენიმე განშტოებად იყოფოდა. ერთი განშტოება მდინარე ქსანს მოჰყვებოდა სამხრეთით და ახალგორში „საქალაქო გზას უერთდებოდა, მეორე განშტოება ჩრდილოეთისაკენ მიემართებოდა და ჟამურზე გავლით დვალეთში გადადიოდა. ხოლო მესამე განშტოება დასავლეთით მიდიოდა და ძაბუეთ-ხოზუეთზე გავლით ჭურთის, რეხულის, ისროლის ხევს ჰკვეთდა და მეჯვრისხევში ჩადიოდა. იყო სხვა გადმოსასვლელები და გზა-ბილიკებიც. კერძოდ, ცხრაძმის ე.წ. უკანუბნის, დადიანეთის, ცხავატის, საფერშეთის, ალევის და სხვა, რომელიც არაგვის ხეობასა და ქსნის ხეობას აკავშირებდა“ (გვრიტიშვილი, 1955: 63-64).

ქართველი და ოსი ხალხების დამაკავშირებელი გზა-ბილიკების მარშრუტების გამოკვეთისას სბის გადასასვლელზე საუბრობს გ. თოგოშვილიც და ასევე მიგვანიშნებს აღნიშნული გადმოსასვლელით ზახადან მომდინარე გზაზე, რომელიც სოფელ ედისთან რამდენიმე განშტოებად იყოფა. ერთი განშტოება კი ერმანდონის ხეობით და ყელის ტბით ჟამურსა და ქსნის ხეობას უერთდება (თოგოშვილი, 1969: 50).

ქსნის საერისთავოს ჩრდილოეთით დამაკავშირებელ გზაზე ყურადღებას ამახვილებს ს. მაკალათია და მიგვითითებს ადგილობრივი მნიშვნელობის საცალფეხო ბილიკებზე, რომლითაც მგზავრი ლომისის ქედზე გადავლით თრუსოსა და არაგვის ხეობებს, ასევე საქართველოს სამხედრო გზას უკავშირდებოდა. ლომისის ხევის სამხრეთით, იქვე ოხირის ხევი ჩამოედინება და ქმნის ცალკე ხეობას. არაგვის ხეობიდან ლომის-ოხირის გადმოსასვლელით გზა-ბილიკი ქარჩოხის ხეობაში გადმოდიოდა (მაკალათია, 1968: 10).

მლეთიდან ქარჩოხის ხეობაში გადმოსასვლელ გზაზე საუბრობს რ. მეფისაშვილი, მიმოიხილავს რა ერედვის წმინდა გიორგის ტაძრის 906 წლით დათარიღებულ წარწერას, სადაც აფხაზთა მეფის კონსტანტინეს ქართლში შემოსვლაზეა საუბარი: „კონსტანტინე გომბორის უღელტეხილის გავლით ჟინვანში უნდა ჩასულიყო, აქედან შესაძლოა იგი მლეთაში გაემგზავრა, მლეთიდან გადავიდა ქარჩოხის ხეობაში, სადაც ალავერდი იმყოფება, შემდეგ კონსტანტინე პატარა ლიახვის ხეობით, ერედვის გავლით ცხინვალში უნდა ჩასულიყო, ცხინვალიდან კი ბრეძაში გადასულიყო“ (მეფისაშვილი, 1955: 114).

თითოეულ გზა-ბილიკს თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური დანიშნულება ჰქონდა, სათავადოები თუ სამეფო კარი, მტერი თუ მოყვარე მას გარკვეული მიზნებისთვის იყენებდა, იქნებოდა ეს დიპლომატიური თუ სავაჭრო ურთიერთობები, შინაფეოდალური ბრძოლები თუ მომხდურ მტერთან დაპირისპირება...

თუ ჩრდილოეთიდან მომავალი მტერი არაგვის ხეობის დამორჩილებას შეძლებდა, ლომის-ოხირის გადმოსასვლელით ქსანზე გადმოსვლას შეეცდებოდა და ქართლის ბარისკენ გააგრძელებდა გზას. ჩრდილოეთ დამაკავშირებელი გზის არსებობამ განაპირობა სწორედ ქსნის ხეობის მთიანეთში გამართული ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ბრძოლა, რომელიც ქარჩოხის ციხესთან მოხდა. 1625 წელს მარაბდის ველზე დამარცხების შემდეგ ქართველები პარტიზანულ ბრძოლებს აგრძელებდნენ. ყიზილბაშთა მეთაურმა ისა-ხან ყორჩიბაშმა, ლაშქარს, რომელიც 12 000 მეომრისაგან შედგებოდა, ხოსრო-მირზა, შირვანის ბეგლარბეგი ყაზახ-ხანი, აზერბაიჯანის ბეგლარბეგი შაჰ-ბენდე-ხანი უსარდლა და თერგის ხეობაში არშის ციხის აღება დაავალა, სადაც ქართველებს დატყვევებული ჰყავდათ

ყიზილბაშური ორიენტაციის ანდუყაფარ ამილახვარი და მისი მეუღლე - ყორჩიბაშის ასული. მტერმა მოახერხა და თბილისისკენ გამოემართა. ჩრდილოეთის გზით შემოსულ სპარსელებს ოხირის ხეობაში მდებარე ქარჩოხის ციხესთან გიორგი სააკაძე დაუხვდა თავის ქართველებით. ირანის შაჰის რჩეული მხედრობა სამდღიანი ბრძოლის შემდეგ მთლიანად განადგურებულა. მხოლოდ ხოსრო-მირზამ „შეძლო“ ალყის გარღვევა და თბილისში ჩასვლა (ვეთანხმები მოსაზრებას, რომ ქართლის ბაგრატიონების უკანასკნელი წარმომადგენელი მოურავის სურვილით უნდა გაეშვათ ბრძოლის ველიდან უვნებელი) (ახლოური, 2022: 210).

ქართველი მეფეებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი გახლდათ გზების მოვლა-პატრონობა. ვ. ღუნაშვილის დაკვირვებით, ლომისის გადმოსასვლელის გაკონტროლება ეკლესიისთვის შეწირულ გლეხთა ვალდებულება უნდა ყოფილიყო. რის დამადასტურებლადაც მიიჩნევს გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დებით“ გათვალისწინებულ 42 მუხლს, რომლის მიხედვით: „ლომისასა ვინც გლეხი მოკლას, თუ მეფეთაგან შეწირულია, გინა სხვათა ვისგანმე, ათას ხუთასი თეთრი დაეურვოს.“ (ძეგლის დადება გიორგი V-ის ბრწყინვალისა, 1988: 103-104). ბარში გლეხის სისხლი 400, ზოგჯერ - 1000 თეთრად იყო შეფასებული. მკვლევარის ვარაუდით, ლომისის ეკლესიას შეწირული გლეხის ფასი ქვეყნის წინაშე მის განსაკუთრებულ ვალდებულებას განსაზღვრავდა, მათ შორის ლომისაზე გადმოსასვლელი გზის ჩაკეტვას (ღუნაშვილი, 2007: 77). გავიხსენოთ, ის ფაქტიც, რომ ვახტანგ მეექვსე „დასტურლამალში“ სპეციალური კანონით აწესრიგებდა „გზების შენახვის“ კონტროლს. (დასტურლამალი, 1886: 22). ქსნის საერისთავოს ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით არსებული გზა-ბილიკების საიმედოდ ჩაკეტვაც სამეფო კარის უმთავრესი საზრუნავი უნდა ყოფილიყო, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ ჯ. გვასალიას სამართლიან დასკვნას: სბისა და როკის გადმოსასვლელებით მომავალ გზებს მოყვარეზე გაცილებით მეტი მტერი მოჰყვებოდაო (გვასალია, 1983: 76). გარდა იმისა, რომ ქსნის ხეობაში თავს იყრიდა იმიერკავკასიიდან მომავალი გზები, უნდა ითქვას ისიც, რომ ავბედითობის ჟამს სამეფო კარი ხშირად აფარებდა თავს ქართლის მთიანეთს, ხოლო ლარგვისის მონასტერი სვეტიცხოვლის განძის სახიზარი იყო (კარბელაშვილი, 1900: 143).

ქსნის საერისთავოში შემავალი ხეობების ჩამკეტი ციხეები, იქნებოდა ეს ქარჩოხი თუ ალავერდი, ბერციხე თუ უკანუბანი... პირველ რიგში გზების გაკონტროლებას უნდა მომსახურებოდნენ, ისევე როგორც სხვა ხეობებში. პროფ. გ. სოსიაშვილი პატარა ლიახვის ხეობაში გამავალი გზების გაკონტროლების მიზნით არსებულ ვანათის, ერედვის, ბელოთისა და აწრისხევის ციხე-სიმაგრეებზე მიგვანიშნებს (სოსიაშვილი, 2011: 15).

XIV საუკუნის დასაწყისში ქსნის ერისთავების სამფლობელო, ძირითადად, ისევ მთის ზოლს მოიცავდა, მაგრამ შუა წლებისთვის მათი მამულები თანდათან იზრდება ქართლის ვაკის მიმართულებით, რაც შემდგომ საუკუნეებში უკვე მასიურ ხასიათს იღებს და საერისთავოს ტერიტორიაც მკვეთრად იზრდება. შალვა ქვენიფნეველის ლარგვისის მონასტრისადმი გაცემული 1470 წლის გუჯარით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საერისთავოს საზღვრები სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებითაც მნიშვნელოვნად გაზრდილა (თაყაიშვილი, 1910: 557-561).

მთისა და ბარის მეტი ურთიერთკავშირისთვის საჭირო გახდა რეზიდენციის სამხრეთით, კერძოდ, ახალგორში გადმოტანა, რაც, ჯ. გვასალიას მინიშნებით, XVI- XVII საუკუნეების მიჯნაზე უნდა მომხდარიყო (გვასალია, 1983: 70). ახალგორის დაწინაურება განპირობებული იყო იმ გზებით, რომელიც მას გარესამყაროსთან აკავშირებდა. პირველ რიგში აღვნიშნოთ ის, რომ იგი იქცა ქსნის საერისთავოს მთისა და ბარის დამაკავშირებელ რგოლად. XVII საუკუნის მეორე ნახევრისთვის ახალგორი იყო პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრი საქართველოში ერთ-ერთი მძლავრი სათავადოსი, რომელიც მოიცავდა ქსნის, ალევის, საფერშეთის, ჭურთის, ცხრაზმის, ქარჩოხის, ჟამურის ხეობებს, მაღრან-დვალეთის სანახებს, ლეხურის ხეობის მნიშვნელოვან ნაწილს, ქოლოთ-ქვიტკირის, ისროლის, მეჯუდის, წრომის, პატარა ლიახვის ხეობებსა და გვერდისძირს (ახლოური, 2006: 67). ასეთ ვრცელ ტერიტორიასთან ურთიერთობისთვის ლარგვის-ქვენიფნევის რეზიდენცია ისეთი მოსახერხებელი ვეღარ იქნებოდა, როგორც ახალგორი, რომელიც ქსნის საერისთავოს სამხრეთით მდებარე სათავადოს ტერიტორიებსაც გააკონტროლებდა და სამეფო კართან თუ მეზობელ სათავადოებთან ურთიერთობასაც უკეთ შეძლებდა. ახალგორი მეჯვრისხევთან ერთად ქსნის ხეობის სავაჭრო-საბაზრო ცენტრიც იყო, სადაც ფუფუნების საგნები შემოჰქონდათ. იქიდან კი, ძირითადად, გაჰქონდათ მესაქონლეობით მიღებული ნაწარმი: რძე, მატყლი, შალი, ტყავი, გაჰყავდათ საკლავი საქონელი, ვაჭრობდნენ გვირილით. უკეთ რომ წარმოვიდგინოთ გვიანფეოდალური ხანის მცირე ქალაქის - ახალგორის მნიშვნელობა საქართველოს საქალაქო ცხოვრებაში, სათანადოდ უნდა მიმოვიხილოთ აქ თავმოყრილი გზების მარშუტი. მთავარი „საქალაქო გზა“ ახალგორიდან სამხრეთის მიმართულებით გაივლიდა ოძისს (დღევანდელი დუშეთის მუნიციპალიტეტი), ქსოვრისს, დამპალას (ვაზიანი), წილკანს, ნატახტარს და მიემართებოდა თბილისისკენ. ეს გზა ქსნის საერისთავოს სამუხრანბატონოსთან და საქართველოს სამეფო კართან აკავშირებდა. ოძისის გავლით ახალგორი უკავშირდებოდა ასევე საერისთავოს სოფლებს თეზს, ლამისყანასა და საამილახვროს, ხოლო მჭადიჯვრისა და ილტოზის გავლით არაგვის საერისთავოს. არაგვის ხეობაში, ანანურისკენ გზა მიემართებოდა ძეგლევის, გრემისხევის, ტონჩას, არღუნის, ქაისხევის გავლითაც. ფასანაურთან დაკავშირება შესაძლებელი იყო ალევის ხეობის მეშვეობით.

„სამოქალაქო გზის“ ჩრდილოეთის გაგრძელება ახალგორიდან იკოთისკენ მიემართებოდა, გაივლიდა კორინთას, ლარგვისს, ქარჩოხს და, როგორც უკვე აღვნიშნე, ქარჩოხიდან ლომისისის გადავლით არაგვის ხეობას, დარიალს და ჩრდილოეთ კავკასიას უკავშირდებოდა. ქარჩოხიდან, მდინარე ქსნის მიმართულებით, დასავლეთით გზას ჟამურის ხეობაში მივყავდით.

ქარჩოხიდან გზა გადადიოდა მეჯვრისხევშიც, ჭურთისა და ისროლის ხეობების გავლით. (ქარჩოხის მკვიდრის, სანდრო მიდელაშვილის ინფორმაციით, რომელიც ას წელს იყო მიღწეული (გარდ. 2021 წელს) ქარჩოხელებს მეოცე საუკუნეშიც კი მთებზე გადაჰყავდათ საქონელი მეჯვრისხევის ბაზარზე გასაყიდად)...

ახალგორიდან იკოთის გავლით გადავდივართ რატიშვილების სამფლობელოში - ყანჩავეთში, საიდანაც ქოლოთ-ქვითკირისა და ისროლის ხეობების გავლით გზა მიემართებოდა მეჯვრისხევში. თავის მხრივ, მეჯვრისხევიდან თბილისთან დაკავშირება

შესაძლებელი იყო საამილახვროსა და სამუხრანბატონოს სოფლების გავლით. მეჯვრისხევიდან გზები მიემართებოდა გორისა და ცხინვალისკენ. ცხინვალამდე გვერდისძირი და ფავლენიშვილების სათავადო უნდა გაგვევლო.

დ. გვრიტიშვილი ქსნის საერისთავოში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ახალგორი -თბილისის, ახალგორი - ანანურის, ახალგორი - დარიალის ხეობისა და მეჯვრისხევი - დარიალის ხეობის, მეჯვრისხევი - თბილისის, მეჯვრისხევი - გორისა და მეჯვრისხევი - ცხინვალის დამაკავშირებელ გზებს, დანარჩენს კი, უმთავრესად, სასოფელთაშორისოდ თვლის (გვრიტიშვილი, 1955: 160). ქსნის ერისთავთა სათავადოს თვალსაჩინო მკვლევარის სამართლიანი დასკვნით, მას შემდეგ, რაც, მეთვრამეტე საუკუნეში საქართველოსა და რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები გაფართოვდა, საერისთავოს ჩრდილოეთით არსებულმა გზებმა მეტი დატვირთვა შეიძინა. ცნობილი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი, ქსნის ხეობაში მოგზაურობისას, სწორედ ქარჩოხიდან ლომისის ქედზე გადასასვლელ გზაზე ამახვილებს ყურადღებას: „ჩრდილოთკენ, არს ციხე ქარჩოხისა, კსნის პირსა ზედა, ლომისიდამ ჩამოსულს კლდესა ზედა. უდის სამხრით კსანი და აღმოსავლით ხევი, ლომისს მთის გამომდინარე, და აღვალს აქედამ გზა ლომისის ეკლესიისა თანა და შთავალს მთიულეთს. ხოლო ქარჩოხის დასავლით არს კსანსა ზედა ჟამური“ (ბატონიშვილი ვახუშტი, 1973: 360).

არაერთ ცნობილ მოღვაწეს უსარგებლია ქსნის ხეობის ჩრდილოეთით დამაკავშირებელ გზებით, მათ შორის გიორგი ბრწყინვალეს, რომელიც მთიულეთში მოგზაურობისას, ლომისის მთაზე გადმოვლით ცხრაზმისხევზე ჩამოსულა „მუნებური სასაქმოს“ მოსაკვლევად (ღუნაშვილი, 2007: 79. ქენქაძე, 2016: 41). გავიხსენოთ ის ფაქტიც, რომ 1724 წელს რუსეთისაკენ მიმავალი ვახტანგ მეექვსე ალევში შეჩერებულა (დონდუა, 1967: 146), სადაც მდებარეობს ალევის სამება - ოქროსკარიანი, ქსნისა და არაგვის მთიულების ერთ-ერთი უმთავრესი საღვთო ტაძარი ლომისის წმინდა გიორგისთან ერთად. თვითონ სამების ეკლესიისკენ ორი გზა მიემართებოდა, ქსნის ხეობის სოფელ კორინთიდან და არაგვის ხეობის ანანურ-ბაზალეთიდან. ახალგორიდან ალევის სამებისკენ მიმავალი გზა თავის დროზე ნიკოლოზ ბარათაშვილსაც გაუვლია, რომლის და - ეკატერინე ქსნის ერისთავთა შთამომავალს - რევაზ ერისთავს ჰყავდა ცოლად. პოეტი 1844 წლის 14 აგვისტოს ალევის მთაზე სამებობის დღესასწაულს დაესწრო: მე და მამა ალევობას... ვეწვივენით კატოს. მანანა (ორბელიანი - დ.ა.) და ელენეც გარდმოვიდნენ სალოცავად. საუცხოვო ჯვარობა იყო. ახალგორიდან თორმეტი ვერსტია, მაღალს მთაზედ“ - წერდა პოეტი ბიძას ზაქარია ორბელიანს (ბარათაშვილი, 2012: 90).

XVIII საუკუნეში, როცა საქართველო-რუსეთის როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური ურთიერთობები ფართოვდება, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქსნის ხეობის ჩრდილოეთით ლომის-ოხირის გადასასვლელები. მაგალითისთვის გავიხსენოთ 1785 წელს ბეჟან ამილახვრის მოგზაურობა რუსეთიდან საქართველოში: „ქ. რუსეთიდამ მოველ, იქიდამ მოვიტანე ორას სამოცი თუმანი თეთრი და ავეჯი... პირველად ახალგორს ჩამოვიარე, დავით ერისთავი ვნახე: - წერს იგი (ბერძენიშვილი, 1938: 79-80).

ქსნის საერისთავოში არსებულ გზებზე ცნობები მოგვეპოვება გერმანელი მოგზაურის იოჰან (ანტონ) გიულდენშტედტის ჩააწერებში...

პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიის წევრმა, პეტერბურგის თავისუფალი ეკონომიკური საზოგადოების პრეზიდენტმა იოჰან გიულდენშტედტმა 1768-1775 წლებში იმოგზაურა საქართველოსა და კავკასიის სხვა რეგიონებში და საყურადღებო ცნობები დაგვიტოვა კავკასიის თითქმის ყველა მხარის გეოგრაფიის, ბუნების, კლიმატური პირობების, მადნეული და მინერალური რესურსების, სამთო საქმის, სამეურნეო ყოფის, მრეწველობის დარგების, ხელოსნობის, ვაჭრობის, ისტორიის, ეთნოგრაფიის, რელიგიის, ენებისა და დიალექტების, გზებისა და გადასასვლელების შესახებ (ახლოური, 2007: 4).

გერმანელი მოგზაური ახალგორს 1772 წლის აპრილის დასაწყისში ესტუმრა დავით ქსნის ერისთავის თხოვნით. „ანანურში ქსნის ერისთავმა, მთელ საქართველოში ყველაზე უფრო განთქმულმა (დიდმა) და ძლიერმა მაგნატმა (ბატონმა), მიმიპატიჟა თავისთან თავის რეზიდენციაში ახალგორში, რათა დავხმარებოდი მას ავადმყოფობაში, რაზეც მთხოვდა მათი უმაღლესობა ერეკლე მეფეც ჩემთვის გამოგზავნილ წერილში“ - წერდა სანკტ-პეტერბურგში საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიას გიულდენშტედტი (გიულდენშტედტი, 1964: 143).

ავადმყოფის მოვლასთან ერთად იგი დროდადრო აწყობდა მოკლე და შორ ექსკურსიებს მთების და ფლორის შესასწავლად. 10 აპრილს მას უმოგზაურია ახალგორიდან სამხრეთ-დასავლეთით და დასავლეთ - სამხრეთ-დასავლეთით: „ვიარე ახალგორიდან ერთი საათი სამხრეთ-დასავლეთით და დასავლეთ - სამხრეთ-დასავლეთით მდინარე არკალას გაყოლებით, შემდეგ ველსა ხევის გასწვრივ და გავიარე სოფლები ქა(ს)ისხევი და არღუნი, შემდეგ იწრია და ალვანის ერთობაწმინდა.

ნარეკვავამდე არღუნიდან ამ მიმართულებით 1 ½ საათის სავალია, ბოლო პუნქტი მდებარეობს მთის ძირას.

აქედან დასავლეთ - სამხრეთ-დასავლეთით 1 ½ საათში მდინარე ძეგლისხევზე იყო სოფელი ძეგლისი; იქიდან ქსნამდე მხოლოდ ¼ საათის სავალია“ (გიულდენშტედტი, 1962: 49).

ქსნის ჩრდილოეთით მგზავრობისას ასახელებს მდინარე ორისხევს და მის სათავესთან, ლორწობნის ახლოს გაპარტახებულ სოფელ ტონჩას, საიდანაც ისევ ბრუნდება ახალგორში.

11 აპრილს მთლიანად უძღვნის ექსკურსიას და მრავალრიცხოვანი მცველების თანხლებით ქსნის დასავლეთით მიმდინარე მდინარე კანშერეთისხევზე (ყანჩავეთის ხევი - დ.ა) გადასვლით მიდის სოფელ ყანჩავეთამდე. ლორწობნის მთის დასავლეთ ძირთან, მდინარე გუმაელაზე ასახელებს სოფელ იკოთს. აქედან აღმოსავლეთის მიმართულებით უმოგზაურია სოფელ შობში და ახალში, რომელიც შობიდან 3 ვერსზე (1ვერსი 1,06 კმ.-ს უდრიდა) იყო დაშორებული. ახალგორიდან ჩრდილოეთით მოგზაურობა 13 აპრილს დაუსრულებია (გიულდენშტედტი, 1962: 49).

1772 წლის 2 მაისს, ახალგორში ყოფნიდან 3 კვირის შემდეგ, დავით ქსნის ერისთავთან ერთად თბილისისაკენ გაემართება 100 კაციანი დაცვით. „მე დავით ერისთავთან ერთად, რომელიც გამოაცილეს დედამ და დამ, დაახლოებით 100 მცველის თანხლებით გავემართე თბილისისაკენ. კარგი 1 ვერსის შემდეგ გავიარეთ განადგურებულ სოფელ ძეგლევის ნაშთები და მის გასწვრივ ჩამომდინარე მდ. ძეგლევისხევი, რომელზედაც მე ადრე ანანურიდან მოვედი. 6 ვერსის შემდეგ გავცდით ნაოხარ სოფელ

ოძისის ოთხკუთხა ვიწრო კედლებს და აქედან 2 ვერსის შემდეგ - ძალიან პატარა მდინარეს. ოძისიდან 4 ვერსის შემდეგ მივედით რამდენიმე ასეულ ნაბიჯზე აღმოსავლეთით მდებარე განადგურებულ სოფელ ილტოზის მიდამოებში და აქედან, 4 ვერსის მოშორებით, ქსოვრისის გალავანთან. აქ ჩვენ გავჩერდით, რადგან უკვე ღამე იყო და ახალგორიდან 3 საათის ნამგზავრები ვიყავით. გზა მიდიოდა თითქმის სულ პირდაპირ სამხრეთით, ძირითადად ქსნის აღმოსავლეთით ნაპირის პარალელურად, მისგან ოდნავ დაშორებით, მთისწინეთის ძირის გაყოლებით, რომელიც ჩადიოდა ქსნამდე და რომელიც აქ ქსოვრისთან სულ თავდება; აქედან მთისწინეთამდე სულ დაბლობია.“ (გიულდენშტედტი, 1962: 51).

მთისწინეთი ქსნის კალაპოტისადმი ძალიან ციცაბო ყოფილა, დაბლდებოდა მხოლოდ ოძისის გარშემო და მდელო 3-4 ვერსის მანძილზე გრძელდებოდა, შემდეგ კი გზა შედარებით რთული გასავლელი ყოფილა და მიემართებოდა ხშირ ბუჩქნარში.

ოძისიდან ქსნის დასავლეთით მოგზაური ასახელებს სოფელ ახმაჯის ნანგრევებს, ხოლო ილტოზის დასავლეთით ჯერ კიდევ დასახლებულ პატარა ციხე ლამისყანას. აქვე მოუსმენია მას ინფორმაცია, რომ ოძისსა და ილტოზას შორის, მაღლობზე, აღმოსავლეთით ყოფილა აოხრებული სოფელი ჭაშა.

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტსაც, თუ რამ გამოიწვია ახალგორის სამხრეთით ამდენი აოხრებული და გაპატრახებული სოფლის არსებობა მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ან რატომ სჭირდებოდა გიულდენშტედტს 100 კაციანი დაცვით გადაადგილება? საფრთხეს ლეკიანობა წარმოადგენდა. „საშიშროება რეგიონების მიხედვითმეტ-ნაკლები ხასიათის იყო. ამის საფუძველს ქმნიდა ამა თუ იმ გზის საკომუნიკაციო მნიშვნელობა, მოგზაურობის ინტენსიურობა“ (ითონიშვილი, 2005: 14). კ. კახაძის ცნობით, XVII-XVIII საუკუნეებში ოძისს და მის მიმდებარე სოფლებს მძიმე დაღი დაასვა ლეკთა რაზმების განუწყვეტელმა თარეშმა, რადგან აქ გადიოდა ე.წ. „ლეკთა გზა“ (საქართველოს ისტორიის... 2008: 288). ვ. ხოცუაშვილი ყოველივე ზემოთქმულს შანშესდროინდელ ნაიარევს უწოდებს (ხოცუაშვილი, 1988: 4). შანშესთან დაახლოებულ ლეკებს ახალგორი დღენიადაგ იზიდავდა, მათ კი საერისთავოს ცენტრამდე მისი სამხრეთით მდებარე სოფლები უნდა გაევლოთ... გიულდენშტედტიც მიგვანიშნებს ილტოზის ახლოს, ქსანსა და ნარეკვავს შორის ლეკების გზაზე, რომლითაც ისინი არაგვიდან, მჭადისჯვარზე გავლით, მიდიან მთით ლამისყანამდე და ქრცხინვალამდე.“ (გიულდენშტედტი, 1962: 53).

...3 მაისს გიულდენშტედტი ქსოვრისიდან გზას ქსნის ახლოს გაჰყოლია და 1 ½ საათის შემდეგ მისულა მუხრანში, მისი გამოთვლით გზა 7 ვერსი უნდა ყოფილიყო. სამხრეთით (მცირედი გადახრით აღმოსავლეთით) მიმავალი გზა გაშლილ დაბლობ ველზე მიემართებოდა, რომელსაც მოსახლეობა სახნავად იყენებდა.

მუხრანიდან მცხეთის გავლით მოგზაური ახალგორიდან თბილისში ჩადის, რათა მოინახულოს ერეკლე მეფის კუთვნილი პროვინციები, თბილისიდან სამხრეთით 60 ვერსზე, რაშიც ასევე დახმარებას უწევს დავით ქსნის ერისთავი (გიულდენშტედტი, 1964: 145).

20 ივნისს თბილისიდან გამოემგზავრება ახალგორისკენ. სადაც გადაწყვეტილი აქვს დატოვოს ბარგის უმეტესი ნაწილი სტუდენტ კრაშენინიკოვისა და სამი კაზაკის

მეთვალყურეობის ქვეშ და გაემგზავროს იმერეთში, სოლომონ მეფის კუთვნილი პროვინციების დასათვალიერებლად, საიდანაც დაბრუნდება ახალგორში. „სასწრაფოდ დავბრუნდები ახალგორში და ვეცდები დავეწიო კორპუსს, რადგან მათი გასვლის შემდეგ აქაურ ადგილებში მიმოსვლა უფრო მეტად საფრთხიანი იქნება, ვიდრე აქამდე“ (გიულდენშტედტი, 1964: 145).

ახალგორის შემდეგ გიულდენშტედტისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტი ლარგვისი უნდა ყოფილიყო, სადაც მოგზაურმა გარკვეული დრო დაჰყო. მისი ცნობით: „მთელი გზა ახალგორიდან ლარგვისამდე მიემართებოდა ჩრდილოეთით, ჩრდილო-დასავლეთით და არის 4 საათი სავალი, ანუ 20 ვერსი. გზა მიდის კირქვიან კლდეებში, უმთავრესად მიდამოზე და არის ისე ვიწრო, რომ ურემს ვერ დაიტევს. მაღლობები უმეტესად ტყითაა დაფარული და მხოლოდ მდინარეთა ახლოს მდებარე დაბლობები არიან გამოსაყენებელი დასამუშავებლად“ (გიულდენშტედტი, 1962: 97).

1 ივლისს გიულდენშტედტი ლარგვისიდან ჭურთის ხეობის მიმართულებით დასავლეთ საქართველოსკენ გაემგზავრა, გზად მოინახულა ჭურთის, დიდი ლიახვის, პატარა ლიახვის, მეჯუდის სოფლები და რაჭასა და იმერეთს ეწვია, სადაც რამდენიმე თვე დარჩა.

11 სექტემბერს გიულდენშტედტი იმერეთიდან გამოემგზავრა, იგი ჯერ სურამში, შემდეგ კი სურამიდან დირბის გავლით ცხინვალში მივიდა, საიდანაც ლარგვისში დაბრუნდა. მისი აღწერით: „გზაზე ქრცხინვალიდან (დიდ ლიახვზე) ლარგვისის მონასტრისკენ (ქსანზეა), ე.ი. ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, ქანები არის ხან მოწითალო, რკინის შემცველი, ხან წიდის მსგავსი კლდე“ (გიულდენშტედტი, 1964: 153).

ლარგვისში ორკვირინი შესვენების შემდეგ, გერმანელი მეცნიერი ლარგვისის მონასტრიდან ჩრდილოეთით, კავკასიის ალპებზე გადასვლით რუსეთს დაუბრუნდა თანმხლები პირებითა და კოლექციებით. ქსნის ხეობაში მისი გადაადგილების მარშუტზე დაკვირვება ნათელს ფენს იმ გზა-ბილიკებს, რომლითაც მოსახლეობა იმ დროისთვის სარგებლობდა. ახალგორი-მუხრანი-თბილისის გზის გარდა, უმთავრესად უნდა მივიჩნიოთ სტეფანწმინდიდან ქუთაისში მიმავალი გზა ლარგვისის მონასტერზე გავლით.

ქსნის ხეობაში არსებულ გზებზე საუბრისას, საყურადღებოა გავიხსენოთ 1895 წელს ჟურნალ „კვალში“ გამოქვეყნებული ცნობილი საზოგადო მოღვაწის ილარიონ ჯაშის წერილი, საიდანაც ჩანს, რომ დედაქალაქიდან ახალგორისკენ და მითუმეტეს, ახალგორიდან ლარგვისამდე გზა არ ყოფილა სამგზავროდ სასურველი (იხ., ქენქაძე, 2014: 52). მთის ხეობებისკენ მიმავალი გზის სავალალო მდგომარეობაზე წერდა 1897 წლის გაზეთი „ივერიაც“: „ახალგორის ზევით სამი წილი ხეობისა - მთიელნი სრულიად უგზონი არიან. აქვთ პატარა სავაჭრო სოფელი მონასტერი (ლარგვისი - დ.ა.), მაგრამ მიუვალი: იქით მიმავალი ურემი - ურემს ვერ აუქცევს, ცხენიანი - ცხენიანს. იქაურ მგზავრს ერთი ფეხი რომ გადაუბრუნდეს ვიწრო გზაში უფსკრულისაკენ დაეშვება და სულიან-ხორციანად მიიკარგება“ („ივერია“, 1897).

წერილში საუბარია ქარჩოხის, ცხრაზმისა და ჭურთის ხეობებზე, სადაც გაცილებით ცუდ მდგომარეობაში იქნებოდა გზა, ვიდრე შედარებით ბარის ზოლში.

1948 წელს ქსნის ხეობაში მოგზაურობისას, ახალგორიდან ლარგვისამდე გზის სივიწროვეზე საუბრობს ცნობილი მეცნიერი პ. ზაქარაიაც: „ჩვენ რომ გავიარეთ, საბარგო

მანქანა ძლივს ეტეოდა. ლარგვისის ზემოთ გზა არ იყო. მანქანა იქ დავტოვეთ და ცხრაძმის, ქარჩოხ-ჟამურისა და ჭურთის ხეობები ცხენებით მოვიარეთ.“ (ზაქარაია, 2002; 292 (სქოლიო).

„ძეგლი ერისთავთადან“ გვახსოვს, თუ როგორ ზიანს აყენებდა ლარგვისის მონასტერს ადიდებული ქსანი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში აზიანებდა ქსნის პირას მდებარე „ჩრდილოეთის გზას“. შეფერხებას ქმნიდა მთებიდან არაერთგზის ჩამოწოლილი მეწყერიც.

მთის ხეობებაში ხშირ მეწყერებზე და ქსნისა და არაგვის ხეობების რთულ გეოლოგიურ აგებულებაზე საუბარია ნ. კეცხოველის „მორბის არაგვი არაგვიანში“, რომელიც აგვიღწერს ნაწარმოების გმირების მოგზაურობასარაგვის, ქსნისა და ნაწილობრივ ივრისა და თერგის ხეობებში მოგზაურობას. მგზავრობა მცხეთიდან იწყება, გაივლიან მუხრანის ვაკეს, სარკინეთს, შიომღვიმეს, ახალგორს, ლარგვისს, ყელის ტბას, ლიახვის სათავეებს, ლომისას, გადაკვეთენ ალევის ქედს და ჩავლენ არაგვის ხეობაში. მათი დაკვირვებით, ქსნის ხეობა წარსულში მცენარეულობით უნდა ყოფილიყო დაფარული. ახალგორიდან ჩრდილოეთით მიმავალი „მანქანა საკმაოდ ფერხდებოდა. ნაკადულებს ქვა და ღორღი გამოეტანათ, პატარ-პატარა კონუსები შეექმნათ და ჩვენი მგზავრები წერაყინებით და პატარა ნიჩბებით კვალავდნენ, გზას ჭრიდნენ.

კარგა დიდხანს მოუნდნენ მგზავრობას. გაუჭირდათ საძეგურთან ალევის ხევის გადალახვა... როდის-როდისღა მიაღწიეს ლარგვისს“ (კეცხოველი, 1971: 39). ამას მოსდევს საუბარი ქსნის შენაკადებზე (ჭურთულა, ცხრაზმსხევი), ლომის-ალევისა და ხარშლის ქედზე (ქსანსა და ლეხურას შორის) და ქსნის ხეობის „მრავალ გზაზე“. „არაგვიანის“ მიხედვით: „ქსნის ხეობა მრავალი გზით იყო დაკავშირებული საქართველოს დანარჩენ ნაწილებთან , განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოსთან.

ქსანი სათავეს იღებს ყელის ტბიდან. საერთოდ, ყელის ტბა საინტერესოა იმითაც, რომ მისი მიდამოებიდანვე იწყება სათავე დიდი ლიახვის, პატარა ლიახვის და თერგისა.

აქვე გადის გზები: თრუსოს ხეობით - დვალეთში, სბის ზეკარით, პატარა ლიახვის ხეობით ქართლში ჩამოდის, ამის მეორე შტო ჟამურის ხეობით ქსანზე გადმოდის, მესამე გზა არაგვზე ჩამოდიოდა; არაგვის გზა როკის, ზეკარასა ზეკარით, ბრუტსაბძელის ძირში, არდონის ხეობაში გადადიოდა, აქედან ქალაქას გავლით ჭანჭახის (მამისონის) ზეკარს კვეთდა და რაჭაში ჩადიოდა.

ჩრდილოეთიდან ჩამოსული მტერი, კავკასიის გადაღმა მოხეტიალე, ხშირად ამ ხეობებით ესხმოდა თავს ქართლს“ (კეცხოველი, 1971: 39).

ქსნის ხეობის მთიან რეგიონში გზების პრობლემაზე ყურადღებას კვლავაც ამახვილებს პ. ზაქარაია, რომელიც, ამჯერად, გასული საუკუნის 80-იანი წლების ვითარებას აგვიღწერს. მკვლევარის შენიშვნით, ახალგორის რაიონი გეოგრაფიულად მთაგორიანია, „შედარებით გაშლილად გამოიყურება ქსნის შუა წელი წირქოლსა და ქსოვრისს შორის“. ლარგვისიდან ჩრდილოეთით კი სამანქანო გზა, ხეობების სივიწროვის გამო, მცირე მანძილზე ყოფილა და ტრანსპორტის ძირითად საშუალებას ცხენი და ურემი წარმოადგენდა, მაგრამ ზამთარში რთული იყო ასეთი ტრანსპორტით გადაადგილება (ზაქარაია, 1981: 1). ნაშრომში, ახალგორის არქიტექტურულ მემკვიდრეობაზე საუბრის პარალელურად, ვეცნობით ინფორმაციას მუნიციპალიტეტის შიდა გზების შესახებ:

„ლენინგორთან (ახალგორი - დ.ა.) მიახლოებისას პირველი სოფელი მოსაბრუნია, თუ აქ მარჯვნივ მოვბრუნდებით და შევუდგებით დაბურულ, მშვიდ ხეობას, ორიოდე კილომეტრზე აღმოვჩნდებით განთქმულ ხოფას მონასტერში.“ (ზაქარაია, 1981: 2). პ. ზაქარაია ხოფადან იმავე გზით ბრუნდება „საკმაოდ მოზრდილ ქალაქის ტიპის“ ახალგორში, აღწერს იქ არსებულ ისტორიულ ძეგლებს და გზას აგრძელებს ჩრდილოეთით, სადაც მოინახულა ყანჩაეთის, არმაზის, წირქოლის, ქვენიფნევის, ლარგვისისა და მთის ხეობების: ქარჩოხ-ჟამურის, ცხრაზმისა და ჭურთის არქიტექტურული ნაგებობები. ალპურ ზონაში მდებარე ქსნის ხეობის უკანასკნელი სოფლის - ბაგინის მონახულებისას, მეცნიერის ყურადღების ცენტრში ექცევა ოთხსართულიანი კოშკი, საიდანაც გზა მაღრან-დვალეთის გავლით ჩრდილოეთისკენ მიემართებოდა (ზაქარაია, 1981: 11)... იგი ლარგვისიდან ბაგინში ქარჩოხ-ჟამურის გზის გავლით მისულა, ხეობის ძველ ცენტრში კი ჭურთის ხეობის გზით დაბრუნებულა, საიდანაც შედარებით უკეთესი გზა მიემართებოდა სამხრეთით - ახალგორისკენ...

საბჭოთა პერიოდში ქსნისხეობელებს ცხვრის ფარები გადაჰყავდათ მეზობელი ხეობების ალპურ საძოვრებზე: დიდ და პატარა გალადურზე, სანგალში, ქნუღში, ჩაბარუხში, ბაგინში, მდორეთში, ერმანში და სხვ... (იხ., მაკალათია, 1975: 65). ქარჩოხელი მეცხვარეების მონათხრობით, მათ ხშირად ვიწრო გზა-ბილიკების გავლა უწევდათ. სამწუხაროდ, ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს, გასული საუკუნის 90-იან წლებში, ამავე გზებით სარგებლობდნენ ოსი აბრაგები, რომლებიც ქსნის ხეობის მთიანი რეგიონებიდან იტაცებდნენ ცხვარს, მსხვილფეხა საქონელს და ცხინვალში გადაჰყავდათ.

საუკუნეების განმავლობაში არსებული პრობლემების მიუხედავად, ჩვენი საუკუნის დასაწყისში, 2008 წლის აგვისტოს ომამდე ახალგორი სამანქანო გზებით უკავშირდებოდა მთის ხეობებს, მათ შორის ჟამურის ხეობას, საიდანაც ქარჩოხელებს სატვირთო მანქანებით საქონლის საკვები ჩამოჰქონდათ.

ახალგორის მხარის ოკუპაციის შემდეგ ახალგორის ჩრდილოეთით მდებარე ხეობებთან დამაკავშირებელი გზები ისევ სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა და თუ ასეთი ვითარება დიდხანს გაგრძელდა, დღემდე კიდევ შემორჩენილი გზა-ბილიკები დროის მსახვრალ ხელს შეეწირება.

**დასკვნები**

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დასკვნების სახით აღვნიშნოთ, რომ:

ცხრაზმის (შემდგომში ქსნის) საერისთავოს ცენტრად ლარგვისის გადაქცევის პროცესს, სხვა ფაქტორებთან ერთად, ხელი შეუწყო მთის ამ პატარა სოფლის გარესამყაროსთან დამაკავშირებელმა გზებმა. აქ თავს იყრიდა ქსნის ხეობის მთიანეთიდან (ქარჩოხ-ჟამური, ჭურთა და ცხრაზმა) მომავალი გზები.

ცხრაზმის საერისთავო გზა-ბილიკებით დაკავშირებული იყო საერისთავოში შემავალ ისროლის, პატარა ლიახვისა და ქოლოთ-ქვითკირის ხეობებთან.

ქსნის ხეობის გზების მნიშვნელოვან მონაკვეთს წარმოადგენდა ლომის-ოხირის გადმოსასვლელი; არაგვის ხეობიდან მომავალი გზა ქარჩოხის ხეობაში სხვადასხვა განშტოებებად იყოფოდა, ერთი განშტოება სამხრეთით ახალგორისკენ მიემართებოდა და საქალაქო გზას უერთდებოდა, მეორე - ჟამურზე გავლით დვალეთში გადადიოდა, მესამე

კი - მეჯვრისხევში ჩადიოდა სოფლების ძაბოეთ-ხოზოეთისა და ჭურთის, რეხულისა და ისროლის ხეობების გავლით. XVIII საუკუნეში, საქართველო-რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობებიდან გამომდინარე, ლომის-ოხირის გადმოსასვლელის მნიშვნელობა კიდევ უფრო უნდა გაზრდილიყო.

არაგვისა და ქსნის ხეობებს ერთმანეთთან აკავშირებდა ცხრაზმის (უკანუბანი), დადიანეთის, ცხავატის, საფერშეთის, ალევის და სხვა გადმოსასვლელებიც.

სათავადოები თუ სამეფო კარი, მტერი თუ მოყვარე თითოეულ გზა-ბილიკს თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური დანიშნულებისათვის იყენებდა, მხედველობაში გვაქვს როგორც დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობები, ისე შინაფეოდალური ბრძოლები და მტერთან დაპირისპირება.

როგორც მთელ საქართველოში, ისე ქსნის ხეობაშიც მნიშვნელოვანი იყო გზების მოვლა-პატრონობა და იგი სათანადო კანონმდებლობით განისაზღვრებოდა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ლომისის გადმოსასვლელის გაკონტროლება ეკლესიისთვის შეწირულ გლეხთა ვალდებულება უნდა ყოფილიყო.

XVI- XVII საუკუნეების მიჯნაზე, როცა ქსნის ერისთავთა სამფლობელო სამხრეთის მიმართულებით კიდევ უფრო გაიზარდა, მთისა და ბარის მეტი ურთიერთკავშირისთვის საჭირო გახდა რეზიდენციის სამხრეთით, კერძოდ, ახალგორში გადმოტანა. ახალგორის დაწინაურება განპირობებული იყო მისი გეოგრაფიული არეალიდან გამომდინარე. აქ ერთდებოდა გარესამყაროსთან დამაკავშირებელი რამდენიმე მნიშვნელოვანი გზა: ახალგორი - თბილისის, ახალგორი - ანანურის, ახალგორი - დარიალის ხეობის...

ისტორიულ ქსნის საერისთავოში, ახალგორთან ერთად, მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი გახლდათ მეჯვრისხევი. ხაზგასასმელია მეჯვრისხევი - დარიალის ხეობის, მეჯვრისხევი - თბილისის, მეჯვრისხევი - გორისა და მეჯვრისხევი - ცხინვალის დამაკავშირებელი გზები.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, ქსნის ხეობაში (განსაკუთრებით მთიან რეგიონში) მოვლა-პატრონობის გარეშე დარჩენილი გზა-ბილიკები სავალალო მდგომარეობაშია.

**გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:**


აფხაზავა, ი. (1986). *ქსანი.* ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ქსე), ტ., 10, თბილისი

ახლოური, დ. (2006). *ახალგორის ისტორია,* თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი".

ახლოური, დ. (2007). *იოჰან (ანტონ) გიულდენშტედტი ქსნის ხეობაში,* თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი".

ახლოური, დ. (2022). *ქსნის ხეობის ისტორია,* ტ., 3, თბილისი, გამომცემლობა „საარი".

ბარათაშვილი, ნ. (2012). *პოეზია, წერილები,* ტ., I, თბილისი.

ბატონიშვილი, ვახუშტი. (1973). *აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება,* ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი.

ბერძენიშვილი, ნ. (1938). *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის.* წიგნი I, თბილისი, სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

გვასალია, ჯ. (1983). *აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შიდა ქართლი),* თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება".

გვრიტიშვილი, დ. (1955). *ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები),* თბილისი, გამომცემლობა „სახელგამი".

*გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში.* (1962). გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გია გელაშვილმა, ტ., I, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

*გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში.* (1964). გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გია გელაშვილმა, ტ., II. თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

*დასტურლამალი მეფის ვახტანგ მეექვსისა.* (1886). რედაქტორობით პეტრე უმიკაშვილისა, ტფილისი, ლ.გ. კრამენკოს სტამბა.

დონდუა, ვ. (1967). *საისტორიო ძიებანი (ფეოდალური საქართველო),* ტ., I, თბილისი.

ზაქარაია, პ. (1981). *ლენინგორის რაიონი (ისტორიულ-არქიტექტურული მიმოხილვა),* თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო".

ზაქარაია, პ. (2002). *ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია,* თბილისი, ჟურნალ „არქიტექტურა და დიზაინის" გამომცემლობა.

თოგოშვილი, გ. (1969). *საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში,* ტ., II, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო".

*„ივერია".* (1897). №2.

ითონიშვილი, ვ. (2005). *უცხოტომელთა ავაზაკობა საქართველოში,* თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობა „მემატიანე".

კარბელაშვილი, პ. (1900). *იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და მღვდელ-მთავარნი,* თბილისი, ალექსანდრე ეპისკოპოსის გამოცემა.

კეცხოველი, ნ. (1971). *მორბის არაგვი, არაგვიანი,* თბილისი.

მაკალათია, მ. (1975). *მეცხოველეობა,* წიგნში „ქსნის ხეობა", თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება".

მაკალათია, ს. (1968). *ქსნის ხეობა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი,* თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო".

მარუაშვილი, ლ. (1964). *საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია,* თბილისი.

მეფისაშვილი, რ. (1955). *ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი,* ქართული ხელოვნება, №4, თბილისი.

საქართველოს ისტორიის... (2008). *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა,* ტ. 2, თბილისი.

საქართველოს სიძველენი. (1910). *საქართველოს სიძველენი,* ე. თაყაიშვილის რედაქციით, ტ., III, ტფილისი.

სოსიაშვილი, გ. (2011). *გზები პატარა ლიახვის ხეობაში,* წიგნში „ნარკვევები შიდა ქართლის ისტორიიდან“, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“.

ქენქაძე, ვ. (2014). *საჩინოთა უჩინობა,* ჟურნალი „ჩვენი უნივერსიტეტი", №24, თბილისი.

ქენქაძე, ვ. (2016). *ქსნის ერისთავების საქართველო,* თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი".

ღუნაშვილი, ვ. (2007). *ქსნის საერისთავოს პოლიტიკური ისტორია (VI საუკუნის 70-იანი წლებიდან 1777 წლის ჩათვლით),* გამოცემა მეორე, თბილისი.

შეშაბერიძე, ნ. (2016). *კასპის მუნიციპალიტეტის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი (გეომორფოლოგია, კარტოგრაფია, ლანდშაფტური დაგეგმარება),* თბილისი.

„ძეგლი ერისთავთა" (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე). (1954). ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შოთა მესხიამ, კრებულში: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 30. თბილისი.

*ძეგლის დადება გიორგი V-ის ბრწყინვალისა. (1988).* ქართული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, რუსულად თარგმნა, შესავალი, შენიშვნები, გლოსარიუმი და საძიებლები დაურთო დავით ფურცელაძემ, თბილისი.

ხოცუაშვილი, ვ. (1988). *ქსნის ერისთავების ციხე-დარბაზი,* წერილების ციკლი ქსნის ერისთავების სასახლეზე, „ლენინელი", ახალგორი.

https://ka.wikipedia.org › wiki › ქსანი. (2022).

Апхазава И. С. (1975). *Озера Грузии.* Тбилиси, „мецниереба“.

## REFERENCES

apkhazava, i. (1986). *ksani. kartuli sabchota enciklopedia [Ksani. Georgian Soviet Encyclopedia].* T., 10, Tbilisi.

akhlouri, d. (2006). *akhalgoris istoria [History of Akhalgori].* Tbilisi: “Universali”.

akhlouri, d. (2007). *iohan (anton) guldenstedti ksnis kheobashi [Johan (Anton) Guldenstedt in the Ksni Valley].* Tbilisi: “Universali”.

akhlouri, d. (2022). *ksnis kheobis istoria [History of the Ksani Valley].* III. Tbilisi: “Saari”.

baratashvili, n. (2012). *Poezia, tserilebi [Poetry, letters].* I. Tbilisi.

bat'onishvili vakhusht'i. (1973). aghts'era sameposa sakartvelosa [Description of the Kingdom of Georgia].*kartlis tskhovreba [Georgian chronicles].* IV. The text is established according to all major manuscripts by S. Kaukhchishvili. Tbilisi: Metsniereba.

berdzenishvili, n. (1938). *masalebi sakartvelos ekonomiuri istoriisatvis [Materials for the economic history of Georgia].* I. Tbilisi.

gvasalia, j. (1983). *aghmosavlet sakartvelos istoriuli geograpiis narkvevebi (shida kartli) [Essays on the historical geography of Eastern Georgia (Shida Kartli)].* Tbilisi: Metsniereba.

gvritishvili, d. (1955). *feodaluri saqartvelos socialuri urtiertobis istoriidan (qartlis satavadoebi) [From the history of social relations of feudal Georgia (Kartli principalities)].* Tbilisi: "Sakhelgami".

*guldenstedtis mogzauroba sakartveloshi [Guldenstedt's trip to Georgia].* (1962). germanuli teksti kartuli targmaniturt gamosca da gamokvleva daurto gia gelashvilma [The German text was published with a Georgian translation and research was added by Gia Gelashvili]. I. Tbilisi.

*guldenstedtis mogzauroba sakartveloshi [Guldenstedt's trip to Georgia].* (1964). germanuli teksti kartuli targmaniturt gamosca da gamokvleva daurto gia gelashvilma [The German text was published with a Georgian translation and research was added by Gia Gelashvili]. II. Tbilisi.

*dasturlamali mefis vaxtang meeqvsisa [Confirmation of King Vakhtang VI].* (1886). redaqtorobit petre umikasshvilisa [Edited by Petre Umikashvili]. Tfilisi: l.g. kramenkos stamba [L.G. Kramenko printing house].

dondua, v. (1967). *Saistorio dziebani (feodaluri saqartvelo) [Historical Researches (Feudal Georgia)].* I. Tbilisi.

zakaraya p. (1981). *leningoris raioni (istoriul-arkiteqturuli mimokhilva) [Leningor region (historical-architectural review)].* Tbilisi.

zakaraya, p. (2002). *kartul tsikhesimagreta istoria [History of Georgian Fortresses].* Tbilisi.

togoshvili, g. (1969). *Sakartvelo-osetis urtiertoba XV-XVIII saukuneebshi [Georgian-Ossetian relations in the XV-XVIII centuries].* II. Tbilisi.

*"iveria".* (1897). №2.

itonishvili, v. (2005). *utskhotomelta avazakoba sakartveloshi [Hooliganism of foreigners in Georgia].* Tbilisi: "Mematiane".

karbelashvili, p. (1900). ierarqia saqartvelos eklesiisa, katalikosni da mghvdel-mtavarni [Hierarchy of the Church of Georgia, Catholicos and High Priests]. Tbilisi. aleksandre episkoposis gamocema [Alexander Bishop's edition].

ketskhoveli, n. (1971). morbis aragvi, aragviani [Aragvi is running Aragviani]. Tbilisi.

makalatia, m. (1975). *Mecxoveleoba [Livestock breeding]* tsignshi "ksnis xeoba" [in the book "Ksni Valley"]. Tbilisi: Metsniereba.

makalatia, s. (1968). *ksnis kheoba, istoriul-etnografiuli narkvevi [Ksani Valley, historical-ethnographic essay].* Tbilisi.

maruashvili, l. (1964). *sakartvelos fizikuri geografia [Physical Geography of Georgia].* Tbilisi.

mefisashvili, r. (1955). *eredvis 906 wlis xurotmodzghvruli dzegli [Architectural monument of Eredvi 906].* kartuli khelovneba [Georgian Art]. №4, Tbilisi.

sakartvelos istoriis… (2008). *sakartvelos istoriisa da kulturis dzeglta aghweriloba [Description of historical and cultural monuments of Georgia].* t., 2. Tbilisi.

sakartvelos sidzveleni. (1910). sakartvelos sidzveleni, e. takaishvilis redakciit [Antiquities of Georgia, e. Edited by Takaishvili]. III. Tfilisi.

sosiashvili, g. (2011). *gzebi patara liakhvis kheobashi [Roads in Little Liakhvi Valley].* tsignshi "narkvevebi shida kartlis istoriidan" [in the book "Essays from the History of Shida Kartli"]. Tbilisi: "Universali".

kenkadze, v. (2014). sachinota uchinoba [The absence of Sachinos]. "chveni universiteti" ["Our University"]. №24. Tbilisi.

kenkadze, v. (2016). *ksnis eristavebis sakartvelo ["Georgia of Ksani Eristavi"].* Tbilisi: "Artanuji".

ghunashvili, v. (2007). *ksnis saeristavos politikuri istoria (VI saukunis 70-iani tslebidan 1777 tslis chatvlit) [Political history of Ksani Saeristavo (from the 70s of the 6th century to 1777)].* meore gamocema [second edition]. Tbilisi.

sheshaberidze, n. (2016). *kaspis municipalitetis bunebriv-resursuli potenciali (geomorfologia, kartografia, landshafturi dagegmareba). [Natural resource potential of Kaspi municipality (geomorphology, cartography, landscape planning)].* Tbilisi.

"Dzegli Eristavta" (genealogical record of the Eristavs of Ksni). (1954). The text was published, research, dictionary and search index were added by Shota Meskhi, in the collection: Materials for the history of Georgia and the Caucasus, plot 30. Tbilisi.

*"dzegli eristavta" (qsnis eristavta sagvareulo matiane) ["Dzegli Eristavta" (genealogical record of the Eristavs of Ksani)].* (1954). teqsti gamosca, gamokvleva, leqsikoni da sadzeiebeli daurto shota mesxiam, krebulshi: masalebi saqartvelosa da kavkasiis istoriisatvis [The text was published, research, dictionary and search index were added by Shota Meskhia, in the collection: Materials for the history of Georgia and the Caucasus]. nakveti 30 [plot 30]. Tbilisi.

*dzeglis dadeba giorgi V-is brtskinvalisa [Placing the monument of Giorgi V in Brtsinvali].* (1988). kartuli teqsti gamosacemad moamzada, rusulad targmna, shesavali, shenishvnebi, glosariumi da sadzieblebi daurto davit furtseladzem [The Georgian text was prepared for publication, translated into Russian, introduction, notes, glossary and references were added by Davit Furtseladze]. Tbilisi.

khotsuashvili, v. (1988). *ksnis eristavebis cikhe-darbazi [Castle-hall of Ksni nobles].* tserilebis tsikli ksnis eristavebis sasakhleze [cycle of letters on the palace of Ksni nobles] "Leninelli", Akhalgori.

https://ka.wikipedia.org › wiki › qsani. (2022).

apkhazava i. s. (1975). *ozera gruzii [Lakes of Georgia].* Tbilisi: "Metsniereba".